

ქართული ნახირი – აქადური *naxiru*

**კონსტანტინე ლერნერი**

*იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი.*

**რეზიუმე:** წინამდებარე სტატიაში ავტორი ცდილობს გამოავლინოს ასურულ წყაროებში არაერთგზის დაფიქსირებული სიტყვის *naxiru* მნიშვნელობა, რომელიც მიემართებოდა გარკვეული სახის ცხოველს, თუმცადა ამ სიტყვის ზუსტი იდენტიფიკაცია აქამდე არ ხერხდებოდა. სხვადასხვა არგუმენტის მოხმობით, მათ შორის, ქართული *ნახირის* ანალოგიით ავტორი ასკვნის, რომ აღნიშნული სიტყვა ასურულ წყაროებში აღნიშნავდა *ზღვის ძროხას*.

**საკვანძო სიტყვები:** *naxiru*, *ნახირი*, *ზღვის ძროხა*, *ზღვის ცხენი*, *ასურული წყაროები*.

1. ასურულ ლურსმულ წარწერებში სულ ცოტა ძვ. წ. ა. XI საუკუნიდან ხშირად გვხვდება უცნობი ზღვის ცხოველი, რომელზეც ასურეთის მეფეები ნადირობენ ან რომელსაც ძღვნად იღებენ. ამ ცხოველს წარწერები *naxiru*-ს უწოდებენ. კერძოდ, ტიგლათპილისერ I-ის ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ: „მე ვილაშქრე ლებანონის მთებში. მე მოვკვეთე და წამოვიღე კედარის ძელები *ან* და *ადად* ღვთაებათა ტაძრისათვის. მე გავაგრძელე გზა ამურრუ ქვეყანამდე და მივიღე ხარკი ბიბლოსის, სიდონისა და არადის ქვეყნებიდან. მე მოვკალი ზღვაში *naxiru*, რომელსაც ზღვის ცხენს ეძახიან“ [2, წარწერა № 82]. მეორე წარწერის

თანახმად, ტიგლათპილისერს ამ naxiru-ს ქანდაკებაც კი გაუკეთებია: „ამურრუ ქვეყნის დიდ ზღვაში (იგულისხმება ხმელთაშუა ზღვა) მე მოვკალი შუბით naxiru, რომელსაც ზღვის ცხენს უწოდებენ. მე დავამზადე naxiru-ს ბაზალტის ორი ქანდაკება და დავაყენე (ისინი) ჩემი სამეფო შესასვლელის მარჯვნივ და მარცხნივ“ [2, წარწერა № 103]. იგივე ზღვის ბინადარი ნახსენებია ტიგლათპილისერის სხვა წარწერებში [2, წარწერა № 91, № 132].

Naxiru გვხვდება ასურეთის სხვა მეფეების წარწერებშიც, თუმცა ძვ. წ. აღ.-ის IX საუკუნეში ის უკვე არა „ზღვის ცხენად“, არამედ ზოგადად „ზღვის ცხოველად“ იწოდება: „მე შევქმენი naxiru-ს ორი ქანდაკება და დავდგი მათ კარებთან“ [2, აშურ-ბელ-კალა-ს წარწერა, იქვე № 250]; ან კიდევ - „მე ვილაშქრე ლებანონის მთებში და დიდ ზღვამდე მივიწიე. იმ დროს მე მივიღე ორი naxiru, რომელნიც ზღვის ცხოველები არიან“ [2, აშურ-ნასირ-აპლი მე-2, იქვე, წარწერა № 597].

2. უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ასურულ ბარელიეფებში ამ ცხოველის იდენტიფიკაცია დღემდე ვერ ხერხდება, მაშინ როდესაც აქადური ენის ფუნდამენტალური ლექსიკონი ამ სიტყვის არამართებულ და ურთიერთგამომრიცხავ განმარტებას გვთავაზობს: „1. წვრილი თევზი. 2. გველეშაპი“ [3, I: 137]. სავსებით ნათელია, რომ ეს არ შეიძლება იყოს თანამედროვე ბიოლოგიურ ნომენკლატურაში ცნობილი „ზღვის ცხენი“ ანუ პატარა ზომის თევზი, რომლის სიგრძე 10 სმ-ს არ აღემატება (შდრ. მაგ., Hippocampus [5]). საერთოდ ეს არ შეიძლება იყოს რომელიმე წვრილი თევზი, რომელზეც მეფე ნადირობს (შუბით ჰკლავს) და რომელიც მეფეს ძღვნად შეიძლება მიართვან. ძნელი წარმოსადგენია აგრეთვე, რომ ასურეთის მეფე შუბით გველეშაპზე ნადირობდეს, ისიც ხმელთაშუა ზღვაში...

აქ, უდავოდ, იგულისხმება რაღაც ცხოველი, რომელიც ზღვისპირა წყლებში ბალახობს და სახარბიელო ნადავლად ითვლება. და თუ ეს ასეა, მაშინ წარწერებში ნახსენებ „ზღვის ცხენს“ კარგად ესატყვისება ამგვარი „ცხენის“ ბერძნული

მითოლოგიური გაგება: მას ორი წინა კიდური ჰქონია, სხეული კი თევზისა ან დელფინის მსგავსი კუდით მთავრდება (მდრ., *Hippocampus* [5]).

ეს მითოლოგიური აღწერა კი აშკარად გვაგონებს რეალურ არსებას - ზღვის ძროხას – 2,5 - 4 მ. სიგრძის ცხოველს, რომელსაც მართლაც ორი წინა კიდური აქვს, ზღვისპირა წყლებში ძოვს და 170-მდე კილოს იწონის. ის წყნარ და ინდოეთის ოკეანეებში ბინადრობს (მდრ., მაგ. *Montee* და *Dugong* [5]).

მაშასადამე, ასურული წარწერების *naxiru* აშკარად ზღვის ძროხის რომელიღაც სახეობაა და ამ ცხოველზე ნადირობა ზღვისპირა წყლებში სავსებით გასაგები ჩანს. რუსულ ბიოლოგიურ ნომენკლატურაში ის ცნობილია როგორც «*корова Стеллера*», რომელიც ჯერ კიდევ XVIII ს.-ში შორეული აღმოსავლეთის სანაპიროზე ბინადრობდა, მაგრამ ნადირობის შედეგად მოისპო. სავსებით შესაძლებელია, რომ ძველ დროს ის ხმელთაშუა ზღვაშიც ბინადრობდა, კერძოდ, ლებანონის წყლებში. ამ ჯიშის ცხოველი ეხლაც ცნობილია წითელ ზღვაში.

3) ამავე დროს ქართული *ნახირი* - „მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯოგი“ [1]- გვაფიქრებს, რომ ასურულ წარწერებში ძვ. წ. აღ. II ათასწლეულიდან მოყოლებული ამ სიტყვის დადასტურებული მნიშვნელობა (ზღვის ცხენი, ზღვის ცხოველი) ამ ფუძის გადატანით მნიშვნელობას წარმოადგენს. ამოსავლად კი ის, ან ამავე ძირის სიტყვა ხმელეთის პირუტყვის (ხარს ან ძროხას, ან სულაც ორივეს ერთად - მსხვილფეხა საქონელს) აღნიშნავდა. ამ დაშვებას ამაგრებს პირუტყვის ღვთაების შუმერული სახელი: *ლა-ხარ-უ*. შუმერული მითის თანახმად, „უზენაესს ღმერთს, ენლილს, ორი უმცროსი ღვთაება შეუქმნია – პირუტყვის ღვთაება *ლა-ხარუ* და მარცვლეულის ღვთაება *აშან*, რათა ღმერთებს სანოვაგე და სამოსელი ჰქონოდათ“ [4, გვ. 21-22].

4) ამ ჩვენ ვარაუდს მხარს უჭერს აგრეთვე ზოგიერთი მთის იბერიულ-კავკასიური ენის ჩვენებაც, მაგ., რუთულური - *ნახირ (nehir)* – „მსხვილფეხა საქონლის

ჯოგი“ ან კიდევ *ნახჩირ* - „კრაზანა, ბზიკი“ ან სულაც *ბუზანკალი* - „საქონლის მკბენარი ფრთოსანი მწერი“[1]; ხუნძურში გვაქვს *ნახირბან* - „მეჯოგე, მენახირე“; და ჩეჩნურში კი - *ნახარტ* - „შემოსავალი“ (საქონელთან დაკავშირებული გარიგება?).

და თუ გავითვალისწინებთ, რომ ძვ. წ. აღ.-ის XI საუკუნის წარწერებში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა უკვე გადატანით მნიშვნელობითაა დაფიქსირებული, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ კავკასიური ნასესხობა ამ შუმერულ-აკადური ლექსიკური ერთეულის ამოსავალ მნიშვნელობას ინახავს. და ამდენად კავკასიურ (ან პროტო-კავკასიურ) ენათა ახლო აღმოსავლურ კულტურულ-ენობრივ სამყაროსთან კონტაქტი სულ ცოტა ძვ. წ. აღ.-ის II ათასწლეულის მეორე ნახევარში უნდა ვივარაუდოთ.

#### **ბიბლიოგრაფია:**

1. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ტ. V, თბილისი 1958.
2. *Assyrian Royal Inscription I-II*, publ. Albu Kirk Garayson, Weisbaden 1976.
3. *Chicago Assyrian Dictionary, vol.I.*
4. Hooke, S., *Middle Eastern Mythology*, Chicago 2005.
5. *Webster's Encyclopedic Unabridged Dictionary of the English Language*. Gramercy Books, New York 1989.